

კონფიდენციალურობის პოლიტიკა

ბოლო განახლების თარიღი: 2019 წლის 18 ოქტომბერი.

კომპანია Universal Rent LLC, რომელიც მართავს ბრენდებს Enterprise Rent-A-Car, National Car Rental და Alamo Rent A Car, პატივს სცემს თქვენს კონფიდენციალურობას. ჩვენ დავნერგეთ ეს კონფიდენციალურობის პოლიტიკა („კონფიდენციალურობის პოლიტიკა“) თქვენი მონაცემების შეგროვებისა და გამოყენების მეთოდების ასახსნელად. დაწვრილებით ნახვა შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ მოცემულ განყოფილებებში.

რა ინფორმაცია ვაგროვებთ ჩვენ

თქვენი პირადი მონაცემები

თქვენ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ გარკვეული ინფორმაცია ტრანზაქციასთან დაკავშირებით, ან ჩვენს ვებგვერდებთან ურთიერთობისას, ასევე პირდაპირ ჩვენს ოფისებში. ჩვენ გვჭირდება თქვენი შემდეგი პირადი მონაცემები:

- თქვენი სახელი, კონტაქტები, დაბადების თარიღი, მართვის მოწმობის ნომერი და ვადის გასვლის თარიღი, ასევე საკონტაქტო ინფორმაცია საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში;
- ინფორმაცია მანქანის დაქირავების შესახებ, მათ შორის იმ ადგილის, სადაც გაქირავებულია მანქანა, გაქირავების თარიღი, გაქირავების ტიპი და თქვენი უპირატესობანი;
- თქვენი საკრედიტო ბარათის მონაცემები, ონლაინ მომხმარებლის მომხმარებლის ანგარიშის ონლაინ მონაცემები, პირადობის მოწმობის ან იმ ორგანიზაციის საშვის ნომერი, რომლის წევრიც ხართ ან თანამშრომლობთ მასთან, ასევე ინფორმაციას (პასპორტის დეტალებს) თქვენი მგზავრების შესახებ..

როგორც Enterprise Holdings -ის ან/და მისი რომელიმე შვილობილი კომპანიის (შემდგომში „Enterprise“) ფრანჩაიზი, Enterprise შეიძლება გააზიაროს ჩვენთან ინფორმაცია თქვენი დარწმუნებისა და დაჯავშნის შესახებ. ჩვენ და Enterprise ვართ მონაცემთა დამოუკიდებელი მაკონტროლებლები ამ ტრანზაქციისთვის. ჩვენ ასევე ვუზიარებთ თქვენს შესახებ ინფორმაციას Enterprise–ს, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ, ნაწილში „ვის ვუზიარებთ ინფორმაციას“.

მესამე მხარეები გვაწვდიან თქვენს შესახებ დამატებით ინფორმაციას:

- რეფერალური წყაროები, როგორცაა ონლაინ დაჯავშნის მესამე მხარის საიტები (რომლებიც გვაწვდიან ზოგად საკონტაქტო ინფორმაცია და ქირავნობის გასაადვილებლად შეკვეთის დასადასტურებელ ნომერს), თქვენი დამქირავებელი (ზოგადი საკონტაქტო ინფორმაცია) და თქვენი სადაზღვევო ოპერატორი (ზოგადი საკონტაქტო ინფორმაცია და პოლიტიკის ინფორმაცია).
- ჩვენი პროგრამები „მოიწვიე მეგობარი“, შემთხვევებში როდესაც ეს შესაძლებელია.
- სასტუმროები, ავიაკომპანიები, კლუბები, რომელთა წევრიც ხართ, რომლებიც გვაწვდიან თქვენს ზოგად კონტაქტსა და დაჯავშნის შესახებ ინფორმაციას.
- საკრედიტო სააგენტოები, რომლებიც გვაწვდიან ინფორმაციას თქვენს პირადობასთან დაკავშირებით, თაღლითობის თავიდან ასაცილებლად.

- მომსახურების მიმწოდებლები, როგორცაა მომხმარებელთა მხარდაჭერის სამსახური (მომხმარებელთა მომსახურებასთან დაკავშირებული ინფორმაცია და თქვენს მოთხოვნებთან დაკავშირებული ინფორმაცია) და მარკეტინგის მიმწოდებლები (ინფორმაცია, რომელიც დაგვენმარება უკეთ წარმოვადგინოთ ჩვენი პროდუქტები და მომსახურება).

თქვენი თანხმობით, ჩვენ ვაწარმოებთ თქვენი მდებარეობის შესახებ ინფორმაციას მოძიებას ან ვაგროვებთ მდებარეობის მარკერებს თქვენი მობილური მოწყობილობიდან ან თქვენი IP მისამართის საფუძველზე. ჩვენ ამ ინფორმაციას გამოვიყენებთ, რათა მოგაწოდოთ შეტყობინებები ჩვენი ადგილმდებარეობის, დაბრუნების შესახებ. ასევე მოგაწვდით ინფორმაციას ადგილობრივ შეთავაზებებთან დაკავშირებით, ასევე ინფორმაციას, რომელიც, ჩვენი აზრით, სასარგებლო იქნება თქვენთვის უკეთესი მომსახურების გაწევისთვის. ჩვენ არ ვიყენებთ ამ ინფორმაციას თქვენი ადგილმდებარეობის დასადგენად არანაირი სხვა მიზნისთვის, გარდა თქვენთვის მომსახურების შემოთავაზებისთვის. თქვენი თანხმობით, ჩვენი აპლიკაცია გამოიყენებს თქვენი მოწყობილობის კამერას. თუ ადრე თქვენ უკვე მოგვეცით თანხმობა, რომ გამოვიყენოთ ინფორმაცია თქვენი ადგილმდებარეობის შესახებ ან თქვენი მოწყობილობის კამერა, მაგრამ გსურთ ნებართვის გაუქმება, გთხოვთ, შეცვალოთ პარამეტრები თქვენს მოწყობილობაზე.

სატრანსპორტო საშუალების მონაცემები

ჩვენი მანქანები შეიძლება აღჭურვილი იყოს ტექნოლოგიით, რომელიც აგროვებს და გადასცემს მონაცემებს. ("სატრანსპორტო საშუალებების მონაცემთა სისტემები"). ეს შეიძლება შეიცავდეს ინფორმაციას რომელიც მიღებული მომხმარებლის შესახებ მონაცემთა ჩამწერებიდან, გლობალური პოზიციონირების მოწყობილობებიდან, OnStar სისტემებიდან ან სხვა მსგავსი ტექნოლოგიებიდან. ავტომობილების მონაცემთა ყველა სისტემის ფუნქციონირება აქტიური იქნება ქირავნობის პერიოდში. დამონტაჟების შემდეგ და სადაც ეს დასაშვებია, სატრანსპორტო საშუალებების მონაცემთა სისტემა საშუალებას მოგვცემს შევკრიბოთ და გამოვიყენოთ ისეთი ინფორმაცია, როგორცაა (1) ინფორმაცია ადგილმდებარეობის შესახებ, (2) ინფორმაცია შეჯახების შესახებ, და (3) სატრანსპორტო საშუალების მუშაობის ინფორმაცია, როგორცაა სამუშაო მდგომარეობა, გარბენი, საბურავების წნევა და საწვავი. მდგომარეობა და სხვა დიაგნოსტიკური და საექსპლუატაციო ინფორმაცია. შეგროვების შემდეგ, ეს ინფორმაცია შეიძლება გაერთიანდეს თქვენს მიერ მოწოდებულ ინფორმაციასთან და გამოყენებული იყოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რათა ჩვენ მოგაწოდოთ უკეთესი მომსახურება. სატრანსპორტო საშუალებიდან შეგროვილი ინფორმაციის გამოყენება შეიძლება მოიცავდეს მათ გადაცემას იმ მხარეებთან როგორცაა მომსახურების მიმწოდებლები, პარტნიორები, როგორც ეს არის განმარტებული ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკაში. ჩვენს მიერ ინფორმაციის გამოყენება ასევე მოიცავდეს ამ ინფორმაციის შენახვას ქირავნობის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ. თქვენს მიერ სატრანსპორტო საშუალებს მონაცემთა სისტემების გამოყენება რეგულირდება კონფიდენციალურობის პირობებითა და პოლიტიკით, რომელიც გამოქვეყნებულია მონაცემების მიმწოდებლის ან

სატრანსპორტო საშუალების შესაბამისი მომწოდებლის მიერ. (OnStar- ის შემთხვევაში ინფორმაცია ხელმისაწვდომია www.onstar.com- ზე). ისინი შეიძლება მოიცავდეს სისტემურ და მომსახურების შეზღუდვებს, გარანტიიდან ამორიცხვას, უსაღებო მომსახურების მომწოდებლის პირობებს, კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის პირობებს, მომხმარებლის პასუხისმგებლობებს. იხილეთ იმ მწარმოებლების სია, ვისგანაც ვყიდულობთ ავტომობილებს, ავტომობილების მწარმოებელთა გვერდზე.

ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელი იმ ნებისმიერ მონაცემებზე, რომელიც დარჩენილია ავტომობილში თქვენს მიერ მისი გამოყენების შემდგომ. ჩვენ ვერ ვიძლევეთ გარანტიას ასეთი ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვაზე და თქვენ უნდა წამალოთ ისინი სანამ ჩვენ მანქანას დაგვიბრუნებთ. ტელემატური მონაცემები გადაეცემა გადაუღებელი დახმარების მომწოდებლებს, სხვა პირებს, რომლებიც ახდენენ ავარიაზე რეაგირებას, ტელემატური სამსახურის ოპერატორებს ან იმათ, ვისთანაც ჩვენ გვაქვს იურიდიული ან შეთანხმებული ვალდებულება გავუზიაროთ ასეთი მონაცემები

როგორ ვიყენებთ ინფორმაციას თქვენს შესახებ

ჩვენ ვიყენებთ თქვენს მიერ ან თქვენს შესახებ მიღებულ ინფორმაციას, რომ მოგაწოდოთ ჩვენი მომსახურება შემდეგი მიზნებისათვის:

- **საჭიროების შემთხვევაში, გავაფორმოთ თქვენთან ხელშეკრულება იმისთვის, რათა მოგაწოდოთ შემდეგი მომსახურება ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდზე:**
 - დავეხმაროთ თქვენს მიერ მოთხოვნილ ტრანზაქციებს, როგორცაა მანქანების დაჯავშნა, გაქირავება, ყიდვა ან ლიზინგი.
 - ვუზრუნველყოთ მომხმარებელთა მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია ჩვენთან თქვენს ურთიერთქმედებასთან, ან ვუპასუხოთ თქვენს თხოვნას.
 - დაგარეგისტრიროთ ჩვენს ლოიალურობის პროგრამებში და გამოგიგზავნოთ არასარეკლამო ინფორმაცია, რომელიც ეხება ამ პროგრამებში თქვენი მიმდინარე მონაწილეობის შესახებ.
- **საჭიროების შემთხვევაში, იურიდიული ვალდებულებების შესრულება იმ შემთხვევაში როდესაც საჭიროა:**
 - მივაწოდოთ ინფორმაცია სასწრაფო დახმარების სამსახურს თქვენი ავტოსატრანსპორტო საშუალებების ადგილმდებარეობის შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მოხვდით საგზაო სატრანსპორტო შემთხვევაში.
 - მივაწოდოთ ინფორმაციას სამთავრობო და სამართალდამცავ ორგანოებს, როდესაც ეს კანონითაა მოთხოვნილი ან პასუხად სასამართლო პროცესზე, ვალდებულებაზე ან მოთხოვნაზე.
- **საჭიროების შემთხვევაში, დაიცვათ ჩვენი კანონიერი ინტერესები, ქვემოთ მოცემულ შემთხვევებში, როდესაც ჩვენი ინტერესები არ ირღვევა თქვენი უფლებით მონაცემების დაცვაზე:**
 - თქვენი იჯარის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის გადასაცემად, ისეთი როგორცაა ჩამოსვლისა და დაბრუნების შეტყობინებები.
 - მოგაწოდოთ უკეთესი პროდუქტები და მომსახურება: მაგალითად, შეაფასოთ ჩვენი თანამშრომლების მუშაობის ხარისხი, შეაფასოთ ჩვენს მიერ მიღებული

პროდუქტებისა და სერვისების ხარისხი და დაგეგმვით გავუმჯობესოთ ვებ – გვერდები, აღჭურვილობა და მომსახურება.

- ჩვენი მომხმარებლების მიერ ჩვენი ვებ-გვერდების, პროდუქტების და მომსახურების გამოყენების სტატისტიკის შესადგენად და მისი ანალიზისთვის.
- ჩვენთან თქვენი ურთიერთქმედების გათვალისწინებით თქვენი პროფილის შემუშავება, რათა ჩვენ შევძლოთ ისეთი ინდივიდუალური წინადადებების, შესაძლებლობებისა და მომსახურების შემოთავაზება რომლებმაც შეიძლება თქვენ დაგაინტერესოს.
- ჩვენი იურიდიული უფლებების დასაცავად და ჩვენი ქსელებისა და ქონების უსაფრთხოების მართვისთვის. მაგალითად, ჩვენ გამოვიყენებთ ვიდუოთვალთვალის სისტემას, რომ უზრუნველყვით ჩვენი შენობების უსაფრთხოება. ჩვენ ასევე შევადგინეთ იმ მომხმარებლების სიები, რომლებსაც უარი ეთქვა ქირაობაზე გადახდის ან უსაფრთხოების რისკების გამო..
- თქვენი ინფორმაციის მესამე პირებისთვის მისაწოდებლად, რათა თავიდან აცილებული იყოს თაღლითობა და დაცული იყოს ჩვენი საქმიანი ინტერესები და უფლებები, პირადი ცხოვრება და საკუთრება, დაცული იყოს უსაფრთხოება და საზოგადოების ინტერესები. ჩვენ გავაკეთებთ ამას, გადაუხდელი გადასახადების შესაგროვებლად, რათა თავიდან ავიცილოთ პასუხისმგებლობა თქვენზე დაკისრებული ჯარიმებისთვის (მაგალითად, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის) და პრეტენზიების დამუშავების მიზნით.
- მესამე პირებისთვის თქვენი ინფორმაციის მისაწოდებლად, რომ ჩვენ შევძლოთ გამოვიყენოთ იურიდიული დაცვის ხელმისაწვდომი საშუალებები ან შევიზღუდოთ ის ზიანი, რომელიც შეიძლება მოგვადგეს და ვუზრუნველყოს ნებისმიერი საიჯარო ხელშეკრულების პირობების ან ჩვენი ვებსაიტების პირობების დაცვა. ჩვენ ასევე გავამჟღავნებთ თქვენს ინფორმაციას მესამე პირებთან, თუ შეიძლება დაირღვეს სხვა პირის უფლებები.
 - ტელემატიკის გამოყენების შესაძლებლობისთვის.

● **სადაც თანხმობა განაცხადეთ, მათ შორის,**

- რომ გამოგიგზავნოთ გარკვეული სარეკლამო ან მიზნობრივი მარკეტინგული შეტყობინებები იმ მახასიათებლებისა და მომსახურების შესახებ, რომლებიც შეიძლება დაგაინტერესოს
- თქვენს გარიგებასთან დაკავშირებული სასწრაფო ტექსტური შეტყობინებების გაგზავნით, მათ შორის თქვენს გარიგებასთან დაკავშირებული სასწრაფო ტექსტური შეტყობინებების გაგზავნით (მაგალითად, აეროპორტში მშენებლობის დაგვიანება), იჯრის გაფართოებული შესაძლებლობების, მარკეტინგული აქციების, როგორებიცაა კუპონები, ფასდაკლებები, ბოლო წუთის სპეციალური შეთავაზებების შესახებ, ან ინფორმაცია ლოიალობისა და დაჯილდოების შესახებ.

თქვენი პირადი ინფორმაციის შენახვა

ჩვენ ვინახავთ თქვენს პირად ინფორმაციას მთელი იმ დროის განმავლობაში, რომელიც საჭიროა ჩვენი საქმიანი ამოცანების შესასრულებლად, როგორც აღწერილია ქვემოთ:

მარკეტინგული მიზნები. ჩვენ ვინახავთ cookies და სხვა სამ წლამდე ვადის ონლაინ იდენტიფიკატორებთან დაკავშირებულ მონაცემებს. ჩვენ ვინახავთ სხვა მარკეტინგულ

ინფორმაციას, როგორცაა ელ.ფოსტის გამოწერა და ლოიალურობის რეგისტრაციის მონაცემები ჩვენთან თქვენი ბოლო ურთიერთქმედების შემდეგ 7 წლის განმავლობაში.

საიჯარო ოპერაციები. თქვენი იჯარის ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ მონაცემებ, ჩვენ ვინახავთ გაქირავების დღიდან 7 წლის განმავლობაში, სხვა ადგილობრივი მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ ვაწარმოებთ იმ გადახდების აღრიცხვას რომელიც თქვენ განახორციელებთ გარიგების თარიღიდან 2 წლის განმავლობაში (ქირავნობის ადგილის მიხედვით).

მომხმარებელთა მომსახურებასთან დაკავშირებული განაცხადები. საჩივრების შესახებ მონაცემებს ჩვენ ვინახავთ 7 წლის განმავლობაში. თუ თქვენ არ შეგიტანიათ საჩივარი, საერთო განაცხადებს ვინახავთ 3 წლის განმავლობაში..

დავები და გამოყენებული კანონმდებლობა. თუ ჩვენ ვმონაწილეობთ სასამართლო პროცესში, ან სახელმწიფო ან ნორმატიულ გამოძიებაში, მონაცემებს ჩვენ ვინახავთ სასამართლო პროცესის ან გამოძიების მთელი პერიოდის განმავლობაში და ამის შემდეგ 5 წლის განმავლობაში. თუ შეთანხმება მოითხოვს, რომ მონაცემები უფრო დიდხანს შევინახოთ, მაშინ ჩვენ მონაცემებს ვინახავთ დავის პროცესის დასრულებისთვის საჭირო პერიოდისთვის. თუ ჩვენ ვაწვდით მონაცემებს სამართალდამცავ ორგანოებს, მაშინ ჩვენ ვინახავთ ამ ინფორმაციას გამოძიების დასრულებიდან ერთი წლის განმავლობაში.

სოციალური მედია

ჩვენი ვებ – გვერდები შეიძლება შეიცავდეს სოციალურ მედიასაშუალებებს, მაგალითად Facebook ღილაკს. ამ ფუნქციებმა შეიძლება შეაგროვონ თქვენი IP მისამართი, გვერდები რომლებიც თქვენ დაათვალიერებთ ჩვენს საიტზე, შეუძლიათ დააყენონ cookie, რათა ფუნქციამ იმუშაოს სათანადო წესით. სოციალური მედია და ვიჯეტები ან განთავსებულია მესამე მხარის მიერ, ან განლაგებულია ჩვენს საიტზე. ამ ფუნქციებთან თქვენი ურთიერთქმედება რეგულირდება იმ კომპანიის კონფიდენციალურობის შესახებ პოლიტიკით, რომელიც უზრუნველყოფს ამ ფუნქციას.

თუ თქვენ იყენებთ ამ სოციალური მედიის ერთ – ერთ საიტს და არ გსურთ რომ ჩვენი ვებსაიტის საშუალებით მათ შეაგროვონ მონაცემები და დააკავშირონ იგი თქვენი სამომხმარებლო გვერდთან, თქვენ უნდა გამოსვიდეთ თქვენი მომხმარებლის ანგარიშიდან ჩვენს ვებ – გვერდზე შესვლამდე და წაშალოთ შესაბამისი cookie – ფაილები. ასევე შეგიძლიათ შეზღუდოთ სოციალური პლაგინები ბრაუზერის პარამეტრების საშუალებით. იხილეთ სოციალური მედიის საიტი მათი პლაგინის შესახებ ინსტრუქციის მისაღებად ან გაეცანით ჩვენს პოლიტიკას Cookie ფაილების მიმართ.

ვის ვუზიარებთ ინფორმაციას

ფილიალები

თქვენს შესახებ შეგროვებულ ინფორმაციას ჩვენ ვაწვდით ჩვენს ფილიალებს ("ფილიალები") თქვენს მიერ მოთხოვნილი ტრანზაქციების წარსადგენად და მარკეტინგული მიზნებისთვის (თქვენი თანხმობით).

Enterprise

ჩვენ ვუზიარებთ საწარმოს თქვენს პირად ინფორმაციას შემდეგი მიზნებისათვის:

- იჯარის უზრუნველყოფა, Enterprise - სა და თქვენს შორის კავშირის შენარჩუნება ან იჯარის პროცესში დახმარების გაწევა.
- თქვენი გარიგების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ინციდენტთან ან Enterprise -ის მქონე დამატებითი უფლებამოსილი მძღოლის მოქმედებასთან დაკავშირებით, თუ Enterprise მიაჩნია, რომ ასეთი ინციდენტის შედეგად, თქვენ ან დამატებით უფლებამოსილ მძღოლს შეიძლება საფრთხე შეექმნათ უარი გეთქვათ მომავალ იჯარაზე.
- Enterprise მომსახურების გარე მიმწოდებლის მხრიდან სატელეფონო გამოკითხვების ჩასატარებლად, რომლის მიზანია დადგინდეს თუ რამდენად კმაყოფილია მომხმარებელი.
- რომ მოგაწოდოთ მარკეტინგული შეტყობინებები მსგავსი პროდუქტებისა თუ მომსახურების შესახებ, რომლებიც Enterprise აზრით, შეიძლება თქვენთვის იყოს საინტერესო, მათ შორის, მიზნობრივი რეკლამირება Enterprise-ის საიტებზე, ცალკეულ პარტნიორ საიტებზე და სოციალურ ქსელებში..
- ჩვენ კომპანიას ვაწვდით ინფორმაციას სტატისტიკის შედეგებისა და თქვენი ან ნებისმიერი სხვა უფლებამოსილი მძღოლის მიერ Enterprise -ის პროდუქტებისა და სერვისების გამოყენების შესახებ ინფორმაციის გასაანალიზებლად, მათ შორის ანონიმურ მონაცემებზე დაყრდნობით სტატისტიკის ჩათვლით, რაც Enterprise -ს საშუალებას მისცემს თქვენ და სხვა მომხმარებლებს მოგაწოდოთ უკეთესი სერვისები, პროდუქტები, ფუნქციები და შესაძლებლობები. ამ ინფორმაციის Enterprise - თან გაზიარებით, ჩვენ და Enterprise ვმუშაობთ როგორც მონაცემთა დამოუკიდებელი კონტროლიორები. Enterprise აქვს საკუთარი კონფიდენციალურობის პოლიტიკა იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელსაც ჩვენ ვაძლევთ Enterprise-ს. ჩვენ გირჩევთ რომ გაეცნოთ Enterprise-ის კონფიდენციალურობის პოლიტიკას, რომელიც შეგიძლიათ მოიძიოთ აქ: <https://privacy.ehi.com>

ჩვენი მომსახურების მიმწოდებლები და საქმიანი პარტნიორები

ჩვენ თქვენს ინფორმაციას გადავცემთ მესამე პირებს, ისეთებს როგორებიც არიან, (1) გადახდის, ადმინისტრაციული და ტექნიკური დამხმარე მომსახურების მიმწოდებლებს, (2) ჩვენს სადაზღვევო კომპანიებს, კორპორაციულ იჯარის კომპანიებს ან სხვა კლიენტებს ან პარტნიორებს, რომლებიც ხელს უწყობენ იჯარის გარიგებებს, (3) საკომუნიკაციო მომსახურების პროვაიდერებს, რომლებიც ჩვენს სახელით უგზავნიან ელ.წერილს და სხვა მარკეტინგული და მომსახურების შეტყობინებებს, (4) მომხმარებელთა დახმარების პროვაიდერები, (5) დავალიანების შეგროვების მომწოდებლები, (6) სარჩელის დამმუშავებლები, (7) ჩვენი სარეკლამო და მარკეტინგის პარტნიორები და მესამე მხარის მედია ფაილები, მათ შორის სოციალური ქსელის საიტების ჩათვლით, რომლებსაც ჩვენ

ვუზიარებთ ზოგად ან ანონიმურ ინფორმაციას ჩვენი მომხმარებლების შესახებ, იმისთვის, რომ მათ შეეძლოთ ჩვენი მიზნობრივი სარეკლამო შეტყობინებების გაგზავნა, განახორციელონ ჩვენი მონაცემების ანალიზი, გაუმჯობესება და მართვა, მობილური ანალიტიკური სერვისების მიწოდება, ჩვენი მომსახურების შენარჩუნება და გაუმჯობესება (კონფიდენციალურობის შესაბამისი შეთანხმების შენარჩუნების პირობით).

ხელისუფლების ორგანოები

თქვენი პირადი ინფორმაცია შეიძლება ასევე გადაცემული იყოს ხელისუფლების ორგანოებისთვის, როგორც ეს ზემოთ იყო აღწერილი.

გაყიდვა, მერწყმა ან კონტროლის შეცვლა

თქვენი ინფორმაცია შეიძლება ასევე გადაეცეს სხვა კომპანიას Enterprise Holdings- ის ბიზნესის ან აქტივების მთელი ან ნაწილის განცალკევების შემთხვევაში. ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ მხარეები დადებენ ხელშეკრულებას, რომლის თანახმად, ინფორმაციის შეგროვება, გამოყენება და გამჟღავნება შემოიფარგლება მხოლოდ საქმიანი გარიგების მიზნების გათვალისწინებით, მათ შორის, საქმიანი გარიგების გაგრძელების განსაზღვრის ჩათვლით. თქვენ, ელ.წერილით ან ჩვენს ვებგვერდებზე ოცდაათი (30) დღის განმავლობაში ცალკეული შეტყობინებით, გეცნობებათ თქვენს პერსონალურ ინფორმაციათა საკუთრებაში ან კონტროლშიმსგავსი ცვლილებების შესახებ, ან კანონით ნებადართული სხვა აუცილებელი ოპერაციების შესახებ.

მონაცემთა გლობალური გადაცემა და დამუშავება

ინფორმაცია, რომელსაც თქვენ გვაწვდით ან რომელსაც ჩვენ ვაგროვებთ, შეიძლება გადაეცეს ორგანიზაციებს მთელს მსოფლიოში, ან გამოყენებული იყოს მათ მიერ, მათ შორის:

- *Enterprise* თუ ჩვენთან უკვეთავთ ჯავშანს ჩვენთან ან Enterprise კორპორატიულ ოფისში, ჩვენ თქვენს პირად ინფორმაციას გადავცემთ Enterprise, Enterprise Holdings, Inc. მდებარეობს შეერთებულ შტატებში და აქვს შვილობილი კომპანიები შეერთებულ შტატებში, კანადაში, გერმანიაში, ესპანეთში, საფრანგეთში, ირლანდიასა და დიდ ბრიტანეთში..
- *მომსახურების მიმწოდებელი მესამე მხარე*. ჩვენ ვიყენებთ მომსახურების მიმწოდებელ მესამე მხარის მომსახურებას, რომლებიც განლაგებულია იმ ქვეყნების ფარგლებს გარეთ, სადაც გვაქვს შვილობილი კომპანიები, კერძოდ, ზარისა და პრეტენზიის დამუშავების ცენტრი, ასევე IT პროვაიდერები..
- *შეერთებული შტატები გალაგებული Enterprise-ის გლობალური ინფორმაციული სისტემები*.

კომპანია ინახავს თავის გლობალურ ინფორმაციულ სისტემებს შეერთებულ შტატებში. თუ თქვენ გვაწვდით, ან ჩვენ ვაგროვებთ თქვენს შესახებ პირად ინფორმაციას შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ, ჩვენ თქვენს პირად ინფორმაციას გადავცემთ და შევინახავთ შეერთებულ შტატებში.

თქვენი უფლებები

თქვენი უფლებები შეიძლება შეიცავდეს უფლებას: 1) მოითხოვოთ ჩვენგან თქვენი პირადი ინფორმაციის ასლი, 2) მოითხოვოთ თქვენი პერსონალური ინფორმაციის კორექტირება, 3) მოითხოვოთ გარკვეული კატეგორიების ან ტიპების ინფორმაციის ამოღება, 4) მოითხოვოთ გარკვეული დამუშავების შეზღუდვა, 5) მიიღოთ ის ინფორმაცია, რომელსაც თქვენ აწვდით სტრუქტურული, მანქანებით წაკითხული 6) ამ ინფორმაციის ნაწილი გადასცეთ სხვა ორგანიზაციებს. თქვენ უფლება გაქვთ უარი თქვათ პერსონალური ინფორმაციის დამუშავებაზე, რომელიც ტარდება ჩვენი ლეგიტიმური ინტერესებიდან გამომდინარე. თუ ინფორმაციის დამუშავების მიზნით ჩვენ მოვითხოვთ თქვენი თანხმობა, თქვენ გაქვთ უფლება, ნებისმიერ დროს გააუქმოთ ეს თანხმობა.

ამ უფლებების განხორციელება შეგიძლიათ ჩვენთან პირდაპირი დაკავშირებით, ამ გვერდის ბოლოში მოცემული ბმულის გამოყენებით. ჩვენ თქვენს განაცხადს ვუპასუხებთ 30 დღის განმავლობაში ან ადგილობრივი კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

ჩვენ ვიტოვებთ უფლებას არ დავუშვათ თქვენს ინფორმაციასთან თქვენი წვდომა ან შეზღუდოთ თქვენი უფლებები (მაგალითად, თუ ამ ინფორმაციის გამჟღავნება კანონით აკრძალულია ან შეიძლება დაარღვიოს სხვა პირის უფლებები). ზოგიერთ შემთხვევაში, ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ ჩვენ შეგვიძლია შევინარჩუნოთ თქვენი პერსონალური ინფორმაცია, თუნდაც თანხმობის გაუქმების შემთხვევაში.

მარკეტინგული პრიორიტეტები

თქვენ უფლება გაქვთ შეეწინააღმდეგოთ პირდაპირ მარკეტინგის, აგრეთვე პროფილირებას, რომელსაც ჩვენ ვახორციელებთ პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის. თქვენ გექნებათ შესაძლებლობა უარი თქვან პირდაპირ მარკეტინგულ შეტყობინებებზე, თითოეულ შეტყობინებაში მიღებული მითითებების შესაბამისად. თქვენ ასევე შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ უშუალოდ ამ გვერდის ბოლოში მოცემული ბმულის გამოყენებით..

თქვენ შეგიძლიათ უარი თქვან ისეთ რეკლამებზე, რომლებსაც ხედავთ არა Enterprise-ის საიტებზე, სარეკლამო რგოლში რეკლამის შერჩევის ნიშნულზე დაჭერით ან საიტზე კონფიდენციალურობის პარამეტრების საშუალებით..

ცვლილებები პოლიტიკაში

საჭიროების შემთხვევაში, ჩვენ განვაახლებთ ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკას, მასში ცვლილებების ასახვის მიზნით. თუ რაიმე არსებით ცვლილებას შევიტანთ, ჩვენ შეგატყობინებთ ელ.ფოსტით (თქვენს ანგარიშში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნით) ან ამ საიტზე შეტყობინების საშუალებით, ან კანონით საჭირო და ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებით, ცვლილების ძალში შესვლამდე. ჩვენ გირჩევთ, რომ პერიოდულად გადახედოთ ამ საიტს ჩვენი კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესახებ უახლესი ინფორმაციის მისაღებად.

თუ თქვენ ქირაობთ მანქანას, ან ეწვიეთ ვებ – გვერდს ან მობილურ საიტს, შემდეგ ქვეყნებში, მონაცემთა კონტროლერი მითითებული იქნება ქვემოთ.

მონაცემთა კონტროლერის საკონტაქტო ინფორმაცია

ქვეყანა	მონაცემთა მაკონტროლებელი	კონტაქტები
საქართველო	შპს «უნივერსალ რენტ»	საქართველო, თბილისი, კოტე აფხაზის ქუჩა 22